# გრძელდება ხელმოწერა «ლეჩხუმზე»

დღეს ძალზედ უჭირს ჩვენს რესპუბლიკას. ყველგან იგრძნობა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. გაძვირებულია რესპუბლიკური გაზეთები, რომელთა გამოწერა პრაქტიკულად არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია. ამიტომაა, რომ რაიონში არც ერთი ცალი გაზეთი არ არის გამოწერილი და არც შემოდის. შეიძლება ითქვას, ინფორმაციის ვაკუუმში მოვექეცით.

რომ არ გამოეთიშო დღევანდელ ცხოვრებას და გაერკვე ყოველდღიურ ინფორმაციაში ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ ჩვენი რაიონული გაზეთი „ლეჩხუმი“.

მიმდინარეობს „ლეჩხუმზე“ წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერა.

გამოწერა შეგიძლიათ ყოველდღე რედაქციაში. თუ ჩვენთან მოსვლას ვერ მოახერხებთ, მიმართეთ უახლოეს საფოსტო განყოფილებას.

„ლეჩხუმზე“ ხელმოწერა 6 თვით მილიონნახევარი კუპონი ღირს. ბევრს შეიძლება იგი ძვირად მოეჩვენოს, მაგრამ ამ თანხით რედაქცია ერთ კილოგრამ ქაღალდსაც ვერ ყიდულობს.

ლეჩხუმელებო, ნუ დარჩებით „ლეჩხუმის“ გარეშე.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

---

საქართველოს პარლამენტის

## დადგენილება

### საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე—5 მუხლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1995 წლის 4 ნოემბერს და პარლამენტის არჩევნები უნდა დაინიშნოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ოთხი თვისა, ამასთან, საკონსტიტუციო კომისიამ უკვე მოიწონა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, გადასცა პარლამენტს განსახილველად, საქართველოს პარლამენტი ადგენს.

1. 1995 წლის 26 ივლისამდე პარლამენტმა განიხილოს კონსტიტუცია ან კანონი, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი.

2. 1995 წლის 3 აგვისტომდე განხილულ იქნეს კანონები საქართველოს ორპალატიანი პარლამენტისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტის ერთი პალატა—რესპუბლიკის საბჭო—აირჩეს პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო მეორე პალატა—სენატი—მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

4. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს 1995 წლის 5 ნოემბერს და შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, იმავდროულად ჩატარდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად.

5. შეჩერდეს 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულება. გაგრძელდეს საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება პარლამენტის სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. კონსტიტუციის ან პირველ პუნქტში აღნიშნული კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმზე გატანილ იქნეს კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებებს, რეფერენდუმი ჩატარდეს 1995 წლის 20 აგვისტოს.

7. თუ შესაბამისი კანონი არ იქნა მიღებული, პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს 1992 წლის პარლამენტის არჩევნების დებულებით, იმის გათვალისწინებით, რომ გაუქმებულად ჩაითვალოს პრეფერენციების წესი და საკომპენსაციო სიები. დეპუტატთა მანდატები მიეკუთვნოთ მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ 5 პროცენტს.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე—სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი. 1995 წლის 4 ივლისი.**

---

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

№ 25 (6664) 19 ივლისი ოთხშაბათი 1995 წელი

ინტერვიუ

# პოლიციის შეფი მუნიციპალური დაფინანსების, დაუნახავი შრომის, «ანგელოზების» და ნარკომანების შესახებ

**უკვე მრავალი თვეა რაიონის მმართველ წრეებში დგას მუნიციპალური პოლიციის შექმნის საკითხი და მხოლოდ ერთი თვეა, რაც იგი (მუნიციპალური პოლიცია) არსებობს. როგორია პირველი შედეგები (თუ კი არის) და რა პერსპექტივას იძლევა მმართველობის ეს ნაბიჯი?—ამ კითხვით მივმართეთ ცაგერის პოლიციის შეფს ბატონ ბადრი არეშიძეს.**

—სულ ერთი თვეა, რაც დაიდო ხელშეკრულება რაიონის მმართველობასა და პოლიციას შორის 15 პოლიციელის მუნიციპალურ დაფინანსებაზე აყვანის შესახებ. 4 ოფიცერი და 11 რიგოსანი ავიყვანეთ ამ წესით და ეს ძალები ძირითადად მოვახმარეთ „გადალმა ზონას“, რომელიც აქამდე შედარებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ეს მხარე ჩვენი «აქილევსის ქუსლია» და ნამდვილად სჭირდებოდა გამაგრება. ორბელში, ალპანაში, ტვიშსა და დვირიშში შეიქმნა უბნები, შევხვდით ამ რეგიონების გამგებლებს. განვიხილეთ პრობლემები. ზოგი მოგვარდა და დღეს ბევრი მათგანი უკვე კმაყოფილია ამ ნაბიჯით. უბნის ინსპექტორთა ჯგუფს ამირან კვირკაშვილი ხელმძღვანელობს შესანიშნავი ორგანიზატორი, რომელმაც ისე დააყენა საქმე, რომ შეგვიძლია ვიმსჯელოთ პირველ შედეგებზე. გამგებლები აღნიშნავენ, რომ წინანდელთან შედარებაც არ შეიძლება ისეთი წესრიგია მათდამი რწმუნებულ რეგიონებში. განსაკუთრებით ეს ითქმის ორბელზე. აქ უბნის ინსპექტორად რევაზ ლეთოდიანი დაინიშნა, თავის დროზე ავღანეთში ნაბრძოლი კაცი. მან დაშალა ორბელის ცნობილი „ბირჟა». სწორედ ესაა პროფილაქტიკური მუშაობა, რაც მუნიციპალურ პოლიციას აკისრია. ამას გარდა ჩვენი პოლიციელები ეხმარებიან ადგილობრივ მმართველობას წვევამდელთა გაწვევისას, მიწის პრივატიზაციის მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტისას და არა მხოლოდ ამ პრობლემების, ისინი მზად არიან ყველაფერში დაუდგნენ მხარში გამგებლებს. ამ ბოლო დროს მათ ორი ძებნილი დააკავეს იმ ზონაში. პირველმა შედეგებმა უკვე აჩვენა, რომ ასეთი სამსახური უბრალოდ აუცილებელი იყო და აქამდეც უნდა შექმნილიყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბიუჯეტს უჭირს: ადვილი გამოსაძებნი როდია თვეში მილიარდობით კუპონის (პოლიციელთა ხელფასი ათეულობით მილიონი კუპონით განიზომება, რიგოსნის საშუალოდ 40—45 მილიონით, ხოლო ოფიცრისა—60 მილიონით, მაგრამ მე სრულიად ვეთანხმები ბატონ შაშიაშვილს, ქუთაისის მერსა და სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს იმერეთის რეგიონში, რომ არაფერი ისე ძვირი არ უჯდება სახელმწიფოს როგორც იაფი პოლიცია...

თითქოს ბევრია არა?— 50—65 მილიონი კუპონი ერთ პოლიციელზე! და ეს მაშინ, როცა საშუალო ხელფასი ჩვენს ქვეყანაში 10 მილიონი კუპონიც არაა. შეიძლება ეს მართლა ბევრი მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მერწმუნეთ, პოლიციელისათვის ეს ძალიან ცოტაა. კანონით მას აკრძალული აქვს კომერციული საქმიანობა და კაცმა რომ თქვას, არ სცალია მისთვის. ჭეშმარიტი პოლიციელი ოჯახისთვის ვერ იცლის, ვერაფრით ეხმარება მას, ამიტომ, ჩემი ფიქრით თუნდაც 70 მილიონი ძალიან ცოტაა (ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი დღეს 93 მილიონ კუპონს შეადგენს). საერთოდ არა მხოლოდ პოლიციელს, ყველას უნდა ჰქონდეს ისეთი სამსახური და ისეთი ანაზღაურება, დაკარგვისა ეშინოდეს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეასრულებს პიროვნება დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს აღარ არსებობდეს საბაბი კორუფციისათვის, რაც დღეს ასეა გავრცელებული.

მაგრამ ხელფასების ზრდა საკმარისი როდია იმისათვის, რომ პოლიციაში საბოლოოდ დამყარდეს წესრიგი, აუცილებელია კადრების შერჩევაში კარდინალური ცვლილებები მოხდეს. პროტეჟეობა უნდა იქნას მოხსნილი, ხოლო სამსახურში მიღების ან დანიშვნის დროს ტესტირება გახდეს რეალური.

**—რაც უნდა ვთქვათ, საზოგადოება დღემდე უკმაყოფილოა პოლიციით, უქნარობასა და კორუფციაში დებს მას ბრალს და როგორც ჩანს, ეს ბრალდებები კიდევ დიდხანს იტივტივებენ ზედაპირზე.**

—რატომაა ლაპარაკი მხოლოდ პოლიციაზე? ყველა სამსახურში უნდა იყოს აწყობილი საქმე. პოლიცია პირველი თუ არა, ერთ—ერთი პირველთაგანია, ვინც რეალურად მუშაობს. ბევრ სამსახურში უარესი მდგომარეობაა, მაგრამ საზოგადოება მისთვის ვერ იცლის. ამას წინათ ერთი თათბირის დროს საკმაოდ ანგარიშგასაწევმა პიროვნებამ ბრძანა. ცაგერში ერთი კაცი დადიოდა და ის აგვარებდა ყველაფერს, თქვენ კი ამდენი ხართ და წესრიგი ვერ დაგიმყარებიათ. ადრე საერთოდ არ იყო პროკურატურა და სასამართლო. 2 კაცი

**გაგრძელება მე—2 გვერდზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიციის შეფი მუნიციპალური დაფინანსების, დაუნახავი შრომის, «ანგელ(ო)ზების» და ნარკომანების შესახებ

(გაგრძელება)

მიგაყენებდა კედელთან და დაგხვრეტდა ისე, ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე. საყოველთაო შიშისა და ტერორის ეპოქაში სახელმწიფოებრივ წესრიგზე ლაპარაკიც არ იყო, ვინ გაბედავდა მის დარღვევას. თუ ისე გვინდა, მაგაზე ადვილი რაა, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა, დემოკრატია და სამართალი სხვა პირობებს გვთავაზობს. გაცილებით რთულსა და მძიმეს, ვიდრე იმ დროს. ჩვენი შრომა დაუნახავი შრომაა. ახლაც 6 კაცი მყავს გაგზავნილი ლინტეხში, დღედაღამ ქუჩაში მორიგეობენ, ორი იმ ჯგუფს გავაყოლეთ, რომელიც სალარეიშვილების ბანდას დასდევს დასაჭერად, ეს ის ბანდაა, პოლიციას რომ ემტერება, სადაც პოლიციელს დაინახავენ, იქვე ესვრიან. 7 კაცი ტყეში მყავს გაგზავნილი. ასე რომ გაჩერებული არა ვართ, ვაკეთებთ საქმეს. ჩვენ თვითონვე არ გვაკმაყოფილებს ჩვენი მუშაობა, რადგან მიღწეულზე არ უნდა გაჩერდეს კაცი. გული მაინც დაგწყდება — ტყვიაზე არიან გადადებული ბიჭები 50 მილიონი კუპონისთვის. თუ რაიმე სახსარი გაგვიჩნდა, არ გაგვიფლანგავს. რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელობა დაგვეხმარა და საწვავი შევიძინეთ, რაციები ჩამოვიტანეთ. 2 მოტოციკლეტი, უაზის მარკის 2 ავტომანქანა შევაკეთეთ და ახლა ტრანსპორტი გვყავს. ეს ყველაფერი 500 მილიონი კუპონი დაჯდა. ეს უშუალოდ გამგებლის ინიციატივა იყო, მაგრამ სახსრები კერძო პირისა გახლდათ. მაინცდამაინც სასიამოვნო როდია გარეშე პირზე იყოს დამოკიდებული პოლიციის დაფინანსება [illegible] ფო უნდა აკეთებდეს. პოლიცია ხომ სახელმწიფო სტრუქტურაა, ისეთივე, როგორიც ჯარი. ჯარი კი ყოველთვის იმას ემსახურება, ვინც აჭმევს და ჯამაგირს გადაუხდის.

**— სალარეიშვილების ბანდას რა კავშირი აქვს ცაგერთან?**

(დასასრული მე—4 გვერდზე)

# სოფელი: ინერცია თუ ცხოვრების კანონი?

ოხრავს საქართველო. ღვთისკურთხეულ მხარეში თითქოსდა გაქრა პატიოსნება, რწმენა, სიყვარული და სიმართლე. სამაგიეროდ შიმშილი, ბოროტება, სატანა დაბიჯებს მის მადლიან მიწაზე.

ამ დროში ვის რა უნდა მოჰკითხო, ჩვეულებრივ მოკვდავს კი არა იმასაც ვინც უნდა უშველოს საქართველოს. და დგახარ ხშირად შენი პროფესიული სინდისისა და თავმოყვარეობის წინაშე. დგახარ და ფიქრობ: რას აკეთებ, რას უკეთებ იმედგაცრუებულ დაღლილ მომმეს. რა გძვია შენ, რა შეგიძლია საერთოდ. უბედურებაც იმაშია, რომ ბევრი ვერაფერი, მაგრამ ერთი კია — გაზეთი იყო და იქნება მკითხველის ინტერესების დამცველი, მისი მხარდამჭერი. ყოველ შემთხვევაში ცდილობს გვერდით დაუდგეს მას, შეუმსუბუქოს ურვა და დარდი. იოტისოდენა რამით მაინც შეეშველოს.

და ერთ მშვენიერ დღეს ლასურიაშს ვეწვიეთ. ახლო მდებარე ლასურიაშს თუმცა აქ პრობლემები რაიონის განაპირა სოფლებზე ნაკლები როდია.

* * *

გავცდით თუ არა ქვედა ცაგერს, ლასურიაშის მიმართულებით რიყის ტერიტორიაზე ცხენისწყლის თავნება დინებამ მიიქცია ყურადღება. სადღაა საიმედო ჯებირები, ლასურიაშისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს რომ იცავდა. მდინარე ინერციით მიედინება და «თავის საქმეს» აკეთებს. ლასურიაშთან დამაკავშირებელ ხიდს იქით გზასაც დამუქრებია. ლოკავს და რეცხავს გზის საძირკველსა და სამაგრს. ზევიდან კი უმაგრო მთა ემუქრება გზას. ამ გაზაფხულს მიწის დიდი მასივი გზის სავალ ნაწილზე ჩამოწვა და კარგა ხნით მოწყვიტა რეგიონი რაიონს.

საკრებულოში მისულებს საკრებულოს გამგებელმა როსტომ ბრეგვაძემ, მოადგილემ დათო მუშკუდიანმა და სოფლის სხვა წარმომადგენლებმა პირველ რიგში სწორედ ამ მტკივნეულ პრობლემაზე მოგვცეს განმარტება.

ის დიდი მეწყერი, ლასურიაშის ხიდთან რომ ჩამოწვა, სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელთა, მოსახლეობის ძალისხმევით გაიწმინდა. ვასილ, თამაზ, გოჩა, მამუკა სვანიძეებმა თავიანთი ტექნიკით გაწმინდეს გზა და ნაპირსამაგრი სამუშაოებიც შეასრულეს.

# ლასურიაში

* სტიქია უტევს, სოფელი თავს იცავს
* გამგებელი მიწის პრობლემას გადაწყვეტილად თვლის
* პური არის—ფული არა
* ღმერთმა აკურთხა, ჩვენ ხელი გავანძრიოთ
* სოფელი: ტყის მცველი თუ ბრაკონიერი?

30 ჰექტარამდე ფართობი წაიღო წყალმა. ის ერთბაშად კი არა, თანდათან. ამ გაზაფხულს წყალდიდობა დაემუქრა სკოლას, ბაღს, თენგიზ კობერიძის საცხოვრებელ სახლს. მთელი სოფელი დაირაზმა, სახლი დაარღვიეს და სამშვიდობოზე გამოიტანეს.

საკრებულომ დაუყოვნებლივ გამოუნახა საცხოვრებელი ფართი დაზარალებულ ოჯახს.

სოფელს დახმარებას უწევენ თბილისში მცხოვრები მახაშელი ძმები, ვაჟა, სერგო ასათიანები. მათვე 2.5 ტონა მავთული გამოგზავნეს ჯებირებისათვის.

როგორც გვითხრეს, ნაპირსამაგრი სამუშაოების უზრუნველსაყოფად რაიონის გამგებლის ბატონ კარლო მუშკუდიანის მეცადინეობით გამოყოფილია თანხა. ნაპირსამაგრი სამუშაო მალე უნდა დაიწყოს, რომლისთვისაც მობილიზებული იქნება საკრებულოს მთელი მოსახლეობა.

ასეა—როცა წყალი გემუქრება, თავი უნდა დაიცვა, იცავენ კიდეც თავიანთ ტერიტორიას ლასურიაშელები. ამ გაზაფხულის წყალდიდობისას სახელდახელო ჯებირი გააკეთეს. წყალმა იბრუნა პირი და გეზი ჭალისთავის დასახლებისკენ აიღო. იქედან ისევ მარცხნივ უბრუნებენ პირს და მახაშიაღვის ჭალებს დაემუქრება.

ამიტომ, ჩვენის აზრით, აუცილებელია წყალს ერთი გზა და კალაპოტი ჰქონდეს. ეს ცალკე არც ლასურიაშელებს შეუძლიათ, არც ჭალისთავს, არც სხვა სოფელს, ყველას ერთად კი შეგვიძლია: მით უფრო, არსებობს სამსახური, რომელსაც ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება ავალია და როგორც გვითხრეს, მას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს.

ერთი სიტყვით, ტექნიკა არის, ხალხის თანადგომაც, თანხაც, საჭიროა მხოლოდ საქმე.

* * *

ლასურიაში მიწის პრობლემა, გამგებლის თქმით თითქმის გადაწყვეტილია. რამე სერიოზული კონფლიქტი არ წარმოშობილა. კატეგორიები ორი წლის წინ დადგინდა, სარეზერვო ფონდი ცალკე გამოიყო. პირველი კატეგორიის ოჯახმა 9000 კვადრატული მეტრი მიწა მიიღო, მეორემ—6500. სხვა სოფლებში [illegible] ებრივია, სხვანაირადაა. ერთი სიტყვით, აქ მიწა არის, მიწა თითქმის ყველას აქვს და შრომობს ხალხი. ეს ატყვია ყანას, ბაღს, ვენახს...

მაინც ჩავეკითხეთ გამგებელს, მიწის თაობაზე დაუკმაყოფილებელი განცხადება ხომ არ აქვთ დარჩენილი. ეს იმის გავლენით, საკრებულოში მისვლამდე ერთ ჩვენს თანამგზავრს საუბრისას უკმაყოფილება რომ შეენიშნეთ ლასურიაშის საკრებულოს სოფლებში მიწის პრივატიზაციის მდგომარეობის გამო. ორიოდე განცხადება გვაქვს დარჩენილი. ისიც ისეთი, ჩვენი ფიქრით მაინცდამაინც კანონიერ მოთხოვნებს რომ არ შეიცავს, ეს მამა-პაპური, ეს ისაო... ისე. განცხადება ან საჩივარი ამ კლებად მოაქვთ ჩემთან განაცხადა ბატონმა როსტომმა, რა ვიცი, იქნებ ფიქრობენ, რომ ვერ გადავუწყვეტთ რამეს.

* * *

სოფლის მაღაზიაში პურის ფქვილი მიეღოთ. ერთი ანეგდოტი გაგვახსენდა. პურის პრობლემა გადაწყვეტილიაო, მთავრობაში რომ უთქვამთ—თავისუფლადაა პური თაროებზე. ასეა, ფქვილიც თავისუფლადაა ლასურიაშის მაღაზიაში. მაგრამ ცოტანი ყიდულობენ, მშიერი უმრავლესობა კი ნერწყვს ყლაპავს.

* * *

სოფელში სიმშვიდეა. არ ხდება ექსცესები, დანაშაულობები, ეს კარგია, მაგრამ ცუდია, რომ სიმშვიდეა საბავშვო ბაღშიც, რომელსაც ბოქლომი ადევს გასაგები მიზეზების გამო. პაწიების სავალ ბილიკებს ბალახი მოსძალებია.

„სიმშვიდეა“ სოფლის ერთ დროს განთქმულ პურსაცხობში, საავეჯო საამქროში, ყველგან, სოფლის ცენტრშიც უჩვეულო სიჩუმე და მოწყენილობაა.

* * *

სკოლის ეზოში შევდივართ, იზაბელას მტევნებით დატვირთულ ხეივანს მივუყვებით. მთავარ ფასადს ვაგლახად დატყობია ბოლო წლების სიდუხჭირე. სადარბაზო ღიაა, გულიც გვეხსნება, სკოლა მაინც სკოლაა, სკოლა სიცოცხლეა, ჩვენი მომავალია.

სკოლის დირექტორი ქალბატონი ნანი ქარსელაძე ადგილზეა, გულიად გვხვდება და მალე ერთვება ჩვენთან გულღია საუბარში.

პრობლემები ბევრია, მაგრამ, ჯერ სკოლა უნდა გადავარჩინოთ.

სასწაულებრივად გადაურჩა ამ ბოლო წყალდიდობას სკოლა. ჩვენს ზევით საცხოვრებელი სახლი წაიღო, მერე სკოლას და მის ეზოს მშვიდობიანად შეუარა გვერდი და ჩვენს ქვევით ყანები წაიღო, სკოლა უვნებელი დატოვა, ერთი ვაშლის ხეც ვერ წაგვართვა. ამაში ღვთის ხელია უთუოდ, სკოლაში იმდენი მადლია და სიკეთე.

ჩვენც ვეთანხმებით ქალბატონ ნანის და ერთად ვიხსენებთ: შარშან შემოდგომაზე, მისიონერულ მოგზაურობის დროს მამა პავლემ ეს შენობაც რომ აკურთხა. ცხადია, ღვთისაგან დალოცვილ სკოლას ასე ადვილად სტიქია ვერ მოერეოდა. ალბათ ამას უნდა ვუმადლოდეთ ზემოთხსენებულ სასწაულს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ გული დავიარხეინოთ და არაფერი გავაკეთოთ სკოლის საშველად. ეს გაფრთხილებაა—წყალწაღებულისა არ იყოს, ხელი გაანძრიე და გიშველით.

ადრე სკოლის ბაღი წაუღია მდინარეს. ამიტომ აუცილებელია და სკოლის დირექტორთან ერთად ვთხოვთ რაიონის ხელმძღვანელობას, ყველა სამუშაო შესრულდეს, რომ ნახევარკუნძულზე დარჩენილ სკოლის შენობას დანგრევა ავაცილოთ.

საერთოდ სკოლის კოლექტივი მობილურია, ერთსულოვანი. ეს სკოლის აკადემიურ შედეგებშიც ჩანს და სასკოლო, რაიონულ ღონისძიებებშიც. რად ღირდა, თუნდაც ამ სკოლის გუნდის გამარჯვება რაიონში გამართულ საზრიანთა და გონებამახვილთა კონკურსზე. მასწავლებლის პროფესია ისეთია რომ არ ეთმობა სკოლა და ბავშვი და ძნელია ულალატოს, მაგრამ მასწავლებელსაც სჭირდება მეტი დაფასება და ყურადღება. არ მიგვიღია ივნისისა და საშვებულებო ხელფასი. თუ ხელფასი ახლა მაინც ვერ მივიღეთ, ჩვენი კუთვნილი პურის ფქვილი გაიყიდება და დაგვრჩებიან პედაგოგები ულუკმაპუროდ.

(დასასრული მე—3 გვერდზე)

ეკოლოგია

# ისევ იმ ტოტზე, რომელზეც ვზივართ და მის მჭრელებზე

**დღეს რესპუბლიკასა და ჩვენს რაიონშიც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. უკიდურესად უჭირთ ადამიანებს. იმის გამო, რომ არ იშოვება თხევადი გაზი, ნავთი თუ სხვა საწვავი, მთელი ძალა დააწვა შეშას, რის გამოც ნადგურდება ტყის მასივები, ამას ემატება სხვა მოვლენებიც, რამაც მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა გარემოს დაცვის რაიონული ინსპექციის უფროსს ბატონ დავით სვანიძეს.**

**—რა მიზანს ემსახურება გარემოს დაცვის რაიონული ინსპექცია?**

გარემოს დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნების, ნორმებისა სტანდარტების, ნორმებისა და სხვა წესების დაცვა, ხელი შეუწყოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებას.

ჩვენს რესპუბლიკაში გარემოს დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ ამისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი ორგანოები.

მათ შორისაა გარემოს დაცვის რაიონული ინსპექცია, რომელსაც უფლება აქვს გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულების შემოწმების მიზნით ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შევიდეს წარმოებებში, დაწესებულებებში, სხვა ტერიტორიებზე და შეამოწმოს არსებული მდგომარეობა, შეადგინონ სათანადო აქტები, სავალდებულო მიწერილობები, შეიტანონ წინადადებები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, განიხილონ საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მასალები გადაგზავნონ დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებში დამნაშავე პირთა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

**—რა მდგომარეობაა რაიონში გარემოს დაცვის საქმეში?**

უკანასკნელი 5—6 წლის მანძილზე რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კრიმინოგენურმა მდგომარეობამ, განუკითხაობამ თავისი დაღი დაასვა გარემოს დაცვასაც. შეიძლება ითქვას, მოიშალა სისტემა, აღარავინ გრძნობს პასუხისმგებლობას ამ მეტად საპასუხისმგებლო სასიცოცხლო საქმისადმი. ამან განაპირობა ის, რომ უმოწყალოდ ნადგურდება ფლორა და ფაუნა, დაბინძურებულია გარემო. ხოლო ამ საკითხზე ვინმესთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

შეიძლება ითქვას, ერთგვარი შეღავათი მოგვცა იმან, რომ წინათ ბევრი წარმოება—დაწესებულება, ორგანიზაცია (საგზაო სამმართველოები, ავტოსატრანსპორტო საწარმო, სამშენებლო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები იყო გარემოსთან კონტაქტში, რომელთა ასფალტის ქარხნები, ბენზინის გასამართი სადგურები, მეცხოველეობის ფერმები, მინერალური სასუქების საწყობები აბინძურებდნენ გარემოს, ახლა კი, როცა ზოგიერთმა მათგანმა შეწყვიტა ფუნქციონირება, ზოგის კი შეჩერებულია, ამან ერთგვარად გააჯანსაღა გარემო, აღარ ჩაედინება ნავთობპროდუქტები, დაბინძურებული წყლები გაუწმენდავად მდინარეში, აღარ იყრება სამშენებლო ნარჩენები და სხვა.

წინათ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახნავ—სათესი მიწებისა და სხვა სავარგულების დაცვას. აკრძალული იყო 20—30 გრადუსზე მეტი დახრის ფერდობების დახვნა ტრაქტორებით ზევიდან ქვევით, რადგან ეს იწვევდა ფართობების ეროზიას, დამეწყვრას. დღეს კი განუკითხაობაა, ვის სადაც უნდა მეწყრული ზონაა თუ სხვა, თვითნებურად ამუშავებს ნიადაგს, ჭრის მცენარეთა საფარს, განმკითხავი კი არავინაა.

კიდევ მეტი, კეთდებოდა მდინარეთა სანაპიროზე დამცავი ჯებირები, რითაც ვახდენდით წყლის რეგულირებას, რასაც სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციაც კი ემსახურებოდა. ახლა აღარც სამშენებლო სამსახურია, აღარც კოლმეურნეობები, სოფლად დარჩა მარტო სასოფლო საკრებულოები და გარემოც დაუცველია. მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე ლასურიაში—მახაშის ტერიტორიაზე ყოველწლიურად კეთდებოდა წნელის თუ მავთულბადის ჯებირები, რაც მეტნაკლებად იცავდა ჭალის ფართობებს. არადა იმის გამო, რომ ამ საქმეს დაგვიანებით მიაქცია ყურადღება ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და მოსახლეობამ, ამ დღეებში მდინარე ცხენისწყალი ლასურიაშის ხიდის ქვემოთ გადავიდა კალაპოტიდან. აყარა ერთი მოსახლე, წყალი მიადგა ლასურიაშის საშუალო სკოლის საცურაო აუზს. ერთი ასეთი წყალდიდობაა საჭირო და სკოლის შენობაც საფრთხეში იქნება. უკვე წაიღო ლასურიაში—მახაშის ჭალაზე 10—15 ჰექტარი მაღალმოსავლიანი ფართობი სიმინდის ნათესებით. ისეთი მცირემიწიანი რაიონისთვის როგორიც ჩვენ ვართ, დიდი ზარალია.

დაპროექტებული იყო და კიდევაც დაიწყო სამუშაოები იმისათვის, რომ მდინარე ცხენისწყალი ჩაეყენებინათ კალაპოტში სარეწკელამდე, 4—5 წლის წინ მოიხსნა ყოველგვარი დაფინანსება ამ საქმეზე, მშენებელი ორგანიზაციაც დაიშალა და ეს საქმე ბეწვის ანაბარა დარჩა. ამიტომ ახლა სახნავ—სათესი ფართობების დაცვას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილობრივმა საკრებულოებმა და მოსახლეობამ. თორემ საუკუნეობით შექმნილ ნიადაგს წყალი წაიღებს და დაგვრჩება მარტო რიყე.

**—ახლა გარემოს დაცვას ემსახურება გარემოს დაცვის ინსპექცია, ეკოლოგიური პოლიცია, სატყეო მეურნეობები, ფლორა და ფაუნა კი მაინც ნადგურდება, ბრაკონიერები კი გამოვლენილი არ არიან...**

დღეს, როგორც არასდროს, გარემოს დაცვის საქმე ისე ცუდ მდგომარეობაშია, ეს თვით ცხოვრებამ მოიტანა. ყველგან განუკითხაობაა. დასანგრევი და წასაღები რაც იყო, წაიღეს, პასუხი არავის უგია. ამიტომ აღარც ტყეს ზოგავენ. ახლა, როცა აღარ იშოვება თხევადი გაზი, ნავთი თუ სხვა საწვავი, მოსახლეობისთვის გათბობის ძირითად საშუალებად შეშა იქცა, ამიტომ მოსახლეობაც შეესია ტყეებს და ამზადებს შეშას, რამაც ტყეების მასიური განადგურება გამოიწვია. ამასთან ძალზედ გაძვირდა ხე—ტყის ღირებულება, (ერთი კუბური მეტრი შეშის ბილეთის ღირებულება 2. 500.000 კუპონია. სამასალე ხისა—5 მილიონი კუპონი), ამიტომ ყველას არ აქვს მისი ასაღები თანხა და იძულებულია უბილეთოდ მოჭრას ხე—ტყე.

ამასთან დღეს ზოგიერთი ორგანიზაცია, იმის გამო, რომ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შეწყვიტა სხვადასხვა მიზეზით, მოუტრიალდა ტყეს და ნებართვით თუ უნებართვოდ დაიწყო სამასალე ხე—ტყის დამზადება და რაიონს გარეთ გატანა გასაყიდად ან საწვავზე თუ სხვა რამეზე გასაცვლელად, რამაც კიდევ უფრო გააჩანაგა ტყეები.

არც ფაუნის დაცვაში გვაქვს კარგი მდგომარეობა. ბევრი ბრაკონიერი სარგებლობს არსებული განუკითხაობით და მდინარეებში—ლაჯანურსა და ჯონოულში თევზაობს აკრძალული საშუალებებით, რაც იწვევს თევზის მასიურ გაწყვეტას. ყველამ უნდა იცოდეს, რომ 1 ოქტომბრამდე აკრძალულია ყველა მეთოდითა და საშუალებით თევზაობა მდინარეებში. ვინც ამ წესს დაარღვევს, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

**—გარემოს დაცვის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა ჩვენს ქალაქში?**

საერთოდ უკანასკნელ ხუთწლეულში შექმნილი მძიმე სიტუაციის შედეგად ამდენი ნგრევის, დატაცების, უყურადღებობის შემდეგ წლეულს ჩვენს ქალაქში რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ქალაქი გაიწმინდა თვეობით ნაგროვები ნაგვისაგან. სკვერების, გაზონების დაცვის მიზნით მიმდინარეობს დეკორატიული მესერით შემოკავების სამუშაოები. ახლა მუშაობა გრძელდება ცენტრალური ბაღის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კვლავ აქვს ადგილი უსუფთაობას, ანტისანიტარიას. წარმოება—დაწესებულებათა ერთი ნაწილი არ იცავს სისუფთავეს ეზოებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, ქალაქის არცერთი გამწმენდი ნაგებობა არ მუშაობს. ყოფილი რესტორნის უკან სანაპიროზე რაიონული საავადმყოფოს კანალიზაციიდან ამოდის სიბინძურე. აყროლებულია მთელი მიდამო, არ ფუნქციონირებს ნაგავსაყრელი, ამიტომ მოსახლეობა მთელ ნაგავს კვეჩნარის ღელის არხში და ცხენისწყლის სანაპიროზე ყრის. ქალაქში მცენარეთა ნარგაობას, ვისაც მოესურვება ის ჭრის, მაგრამ დღემდე არავინ დაუსჯიათ ასეთი ქმედებისათვის.

მთავარი ის არის, რომ თუ ყველამ არ მიიტანა გულთან ქალაქში სისუფთავისა და წესრიგის, საერთოდ გარემოს დაცვის საქმე, მარტო მოწოდებული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი ორგანოები ვერაფერს გახდებიან.

დღის ამოცანაა გარემოს დაცვის ინსპექციამ, ეკოლოგიურმა პოლიციამ, სატყეო მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ერთობლივი მუშაობა გავაჩაღოთ გარემოს დაცვისათვის.

საჭიროა იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავისი ქმედებით ხელს უწყობენ გარემოს დაბინძურებას, ფლორისა და ფაუნის განადგურებას, საერთოდ არ ზრუნავენ გარემოს დაცვისათვის, გატარდეს მკაცრი ღონისძიებანი. არადა თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იმ ტოტს მოვჭრით, რომელზედაც ვზივართ.

# ლასურიაში

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ძალიან [illegible] პრობლემაა ჩვენთვის, არ ვაჭარბებ, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა.

ამ ზამთარს გაგვიჭირდება შეშაზე. სახელმძღვანელოებს ველოდებით და ალბათ მივიღებთ, კადრები არის. ამ მხრივ რაიმე პრობლემა არ გვექნება. სოფლის თანადგომასაც ვგრძნობთ ის გვასულდგმულებს, რომ ჩვენს მშობლებს კარგად ესმით, სკოლის დახურვა სოფლის დახურვას ნიშნავს და ცდილობენ ხელი შეგვიწყონ.

საუბარში გამგებელი ჩაერთო. მან თქვა, რომ არანაირი იმედი არ არის სატყეო მეურნეობებიდან შეშით მოგვამარაგონ. სკოლას კი სჭირდება სულ ცოტა 40 კუბური მეტრი შეშა. სოფელმა თვითონ უნდა იზრუნოს სკოლის სათბობით უზრუნველსაყოფად. ჩვენ საკრებულოს ხელმძღვანელობა და სკოლის კოლექტივი გამოყოფილ ტყე—კაფში მოსახლეობის დახმარებით დავამზადებთ შეშას. ასე, რომ მოსწავლეებს არ შესცივდებათ.

* * *

სიტყვამ მოიტანა და სოფელს ძალიან აწუხებს ტყის დაცვის პრობლემა. ამაზე ხშირად ჩივის მოსახლეობა. საქმე ისე გართულდა, რომ შარშან სპეციალურად ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ყრილობაზე სოფელმა მოითხოვა ტყეების დაბრუნება მის საკუთრებაში იმ საბაბით, რომ სოფელი უკეთ მოუვლის თავის ტყეს. ამაში უთუოდ არის საღი აზრი. მაგრამ ჯერჯერობით ამის საშუალებას არსებული კანონმდებლობა არ იძლევა. არადა, ტყეები ჩანაგდება, ნადგურდება ათეულ—წლობით მოვლილი და ნაპატრონები. გამუდმებით ისმის ნაჯახის კაკუნი. ჭრის ყველა, ვისაც არ ეზარება. ზოგჯერ ის უფრო ხშირად ვინც სიტყვით ყველაზე მეტად წუხს.

* * *

ჩვენი დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სოფელს ისევ დაემუქრა მდინარე. ამჯერად სოფლის საავჯო დაურღვევიათ სასწრაფოდ. წყალმა შეუტია სოფლის ცენტრალურ გზას, ყოველდღე იზრდება ზარალი და საშიშროება.

სოფლის სიდუხჭირიდან თავის დაღწევის აუცილებლობას ჩვენზე უკეთ ხედავენ საკრებულოს ხელმძღვანელები. ჩვენ თავს ვიკავებთ შეფასებისაგან ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს ლასურიაშსა და წყალგამა რეგიონს შველა სჭირდება, სასწრაფო შველა, რასაც მარტო სოფლისა და მისი ხელმძღვანელობის ძალები არ იყოფა.

მ. ძნელაძე,
ია ხმელიძე,
ჯ. მანდარია.

№ 25 6664 19 ივლისი 1995

# პოლიციის შეფი მუნიციპალური დაწესებულების, დაუნახავი შრომის, «ანგელოზებისა» და ნარკომანების შესახებ

(დასასრული)

—ბოლო ხანებში ლენტეხში მომხდარი მძიმე დანაშაულობების 40 პროცენტი სწორედ ამ ბანდის ჩადენილია. ეს ბანდა დაესხა თავს შარშან ჩვენს პოლიციელებს ოყურეშის საგუშაგოზე. წელს 7 დან ამაული აქვთ ჩადენილი ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე.

**—ამბობენ, რომ იმ „შემოწირული“ საწვავით პოლიციელები დასეირნობენ და სანადიროდ ან საქეიფოდ დადიან.**

—საერთოდ, რომ იცოდეთ, წესით დღეში რამდენჯერმე უნდა შემოიაროს პოლიციამ რაიონი პატრულირების მიზნით. შეიძლება ეს ვინმეს სეირნობად მოეჩვენოს. ნეტა საწვავი გვქონდეს, ხშირად გავაგზავნიდი ბიჭებს, მაგალითად, ჯონოულზე „საქეიფოდ“. ბევრ რამეს ნახავს იქ კაცი, პოლიციელისთვის საგულისხმოს. იქნებ იმ უკანონო ხე-ტყესაც წააწყდნენ „მოქეიფენი“, რაზეც ჩვენთან ინფორმაცია ასე ხშირად მოდის.

**—რადგან სიტყვა ხე-ტყეზე ჩამოვარდა, იქნებ გვითხრათ, რა მდგომარეობაა დღეს რაიონში ამ თვალსაზრისით?**

—ადრე უკანონო ხე-ტყე გადისო, რომ ამბობდნენ, ვეცადებოდი: დღე და ღამე ვამორიგევებდი ბიჭებს. მთელი წლის მუშაობის მერე მივხვდი, ტყუილა ვიშლიდი ნერვებს. თვითონ განსაჯეთ—შარშან 6 თვე ვიდექით ხერგილზე, მე მოვითხოვე და რაიონის ხელმძღვანელობამ მორიგეობაში ჩართო აქტივი. ორივე სატყეო მეურნეობა, ეკოლოგიის პოლიცია თავისთავად. ამ 6 თვის განმავლობაში ერთად ერთი გამოვლინება (ერთი მანქანა ხე—ტყე) იყო. და სხვანა ერთია—რაიონიდან უკანონო ხე—ტყე არ გადის.

**—უკანონო თუ უსაბუთო?**

—დიახ, უსაბუთო.

**—არც ლენტეხიდან?**

—ისინი ხომ მთლად ანგელოზები არიან. სხვაგანაა ძირები საძებნი. (ალბათ იმის თქმა სურდა პოლიციის შეფს, რომ იმ საბუთების საბუთიანობაა საძებნი).

**—ბატონო ბადრი, თქვენ ნარკომანიასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება გაქვთ. ლენტეხში კი ნარკოტიკების გასაღების ტრასად (ქვაისაონი— ცაგერი —ქუთაისი) ითვლება. ესე იგი მსუქანი ლუკმაა. ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ გამოგიშვეს აქ.**

—ფული რომ მეშოვა, არა? ასე ჰგონიათ? რაჭველებმა ისე დააყენეს საქმე, რომ ნარკოტიკების გადაზიდვა ამ ტრასაზე აღარ ხდება. რაც შეეხება თვითონ ლენტეხში შექმნილ ვითარებას ნარკომანიის ხაზით 1993 წელს ერთი გამოვლინებაც არ გვქონია. 94—ში სამი ფაქტი იყო 1—ნათესების, 2—მოხმარების. ნათესები გავანადგურეთ. წელსაც გვაქვს გამოვლინება. გაჩერებული არ ვართ, მაგრამ ბევრი პრობლემა გვიძლის ხელს, უპირატესად ხიუახსია, რისი თქმაც არაა სასურველი. გამოვლინება თუ ცოტაა, სულაც არ ნიშნავს, რომ ცაგერში ნარკომანები არ არიან.

**—ამჟამად მიმდინარეობს რეგიონული სამმართველოების შექმნა. ალბათ პოლიციასაც ექნება ამგვარი სამმართველო (რაჭა—ლეჩხუმ—ქვემო სვანეთის) როგორ ფიქრობთ, ეს მოხსნის თქვენს რომელიმე პრობლემას?**

—უთუოდ. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

—გმადლობთ.

ესაუბრა **ია ხმელიძე.**

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

## ლტოლვილთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის გადაწყვეტილებით ტარდება ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაცია და ლტოლვილის მოწმობის გამოცვლა. ლტოლვილთა რეგისტრაცია რესპუბლიკის ყველა რაიონში ტარდება შემდეგი გრაფიკით.

24—25 ივლისი—ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი

26—27 ივლისი—გალის რაიონი

28—29 ივლისი—გულრიფშის რაიონი

30—31 ივლისი—გაგრა—გუდაუთის რაიონი

1—2 აგვისტო—ქ. ტყვარჩელი, ოჩამჩირის რაიონი

3—4 აგვისტო—ცხინვალის რეგიონი.

ლტოლვილთა რეგისტრაცია ტარდება ქ. ცაგერის რაიონის საკრებულოს შენობაში.

ლტოლვილმა თან უნდა იქონიოს:

1. პასპორტი, დროებითი პასპორტი ფორმა №9-ა ან ნებისმიერი პირადობის მოწმობა, თუ ის მოწმობა გაცემულია აფხაზეთის ტერიტორიაზე; 16 წლის ასაკამდე მოზარდზე უნდა წარმოდგეს დაბადების მოწმობა.

2. 2 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4—ზე.

3. სოფლის საკრებულოს ცნობა ლტოლვილის და მისი ოჯახის წევრებზე (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, საცხოვრებელი ადგილი და დროებითი საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით).

4. ლტოლვილზე ადრე გაცემული მოწმობა.

რეგისტრაციაზე ლტოლვილი პირადად უნდა გამოცხადდეს, ავადმყოფობის შემთხვევაში, რეგისტრაციის გავლა და ახალი ნიმუშის ლტოლვილის მოწმობის მიღება შეუძლია მისი ოჯახის სხვა წევრს, ამ შემთხვევაში სავალდებულოა მინდობილობის და ექიმის ცნობის წარმოდგენა.

ლტოლვილს, რომელიც საპატიო მიზეზით (საავადმყოფოს სტაციონარში ან რესპუბლიკის გარეთ ყოფნისას) ვერ შეძლებს დადგენილ ვადაში რეგისტრაციას, 1 აგვისტოდან შეუწყდება ფულადი და მატერიალური დახმარება, დახმარება განახლდება რეგისტრაციის გავლისა და პიროვნების მონაცემის კომპიუტერზე შემოწმების შემდეგ.

**ლტოლვილთა ცაგერის რაიონული ორგანიზაცია**

# გილოცავთ

**გვანცა, ავთო, ამირან ხეცურიანებს**
გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარულსა და სიკეთეს გისურვებთ.
**ნაირა, მზია, მაყვალა ოჯახებით.**

**ჟორა გოლეთიანს**
გილოცავთ გულის გადნერგვას. მათი შვილების ტრიუმფს აეხმიანებიანოს შენი კარ—მიდამო.
**ნაირა, გრიგოლი**

**ჭელიკო, გელა სალინაძეების ოჯახს**
გილოცავთ ვაჟიანობას. თქვენს გვერდით ვართ ამ დიდ სიხარულში.
**მზევინარ ძნელაძე, შურა შკუბულიანი ოჯახით.**

---

მეუღლე ნელი, შვილები ლაშა, ლელა, და ცირა ძმა ანზორი, რძლები, სიძეები დისშვილები, ძმისშვილები და უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან
**თემურ დავითის ძე გენიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. ზუბში.

---

ბახვა გენიძე ოჯახით იუწყება საყვარელი ბიძის
**თემურ გენიძის**
გარდაცვალებას.

---

გუგუ, ჟორა ჩაკვეტაძეები ოჯახით იუწყებიან
**ნორა ჩაკვეტაძე—ახვლედიანის**
გარდაცვალებას.

---

ცაგერის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დათო გენდელიანს ბიძის
**თემურ გენიძის**
გარდაცვალების გამო.

---

გუგერი, შიო გენიძეები, გელა ხალიანი, გოგი ომანძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**თემურ გენიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს მზია, რამაზ კვირკაშვილებს დედისა და სიდედრის
**ნორას**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის აგრომრეწველანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ასმათ კვირკაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

სამუსიკო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მზია, თენგიზ ახვლედიანებს
**კოტე ცხადაიას**
გარდაცვალების გამო.

---

გივი, გურამ, კობა ანზორ მდივნები, ნუშარ ლეთოდიანი, ოთარ ლიპარტელიანი, თენგიზ ხვადაგიანი, გრიშა ონიანი თანაუგრძნობენ ბაბი, ვალოდია, ლადიკო გოგიძეებს დის
**ნადიას**
გარდაცვალების გამო.

---

პროფკავშირგაგმულობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნორა ახვლედიანი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დათო ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ნადია გოგიძე—გუგავა**

---

ბიძა რაფიელი, დეიდაშვილები გოჩის, მურთაზ, კოთე ჩხეტიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ასმათი ფაცო ივანეს ასული კვირკაშვილი.**

---

სპორტსკოლისა და სპორტკომიტეტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნარა სილაგაძეს დედის
**ნორას**
გარდაცვალების გამო.

---

გუგუ, ზინა გურულები, გრიგოლ, გურამ ლიპარტელიანები, ანზორ კვირკაშვილი, შალვა ყურაშვილი, ნეოლინე სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნაზიკო ჩახულიანი.**

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან
**ნაზი ირაკლის ასული ჩახულიანის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მიშა, სოსო, იური კოპალიანები, გრიშა ნემსწვერიძე, ვიტალი ჩიხლაძე, ჯემალ ჭაბუკიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა, გუგუ გენდელიანებს, დალი, დათო კოპალიანებს ძმისა და ბიძის
**თემურ გენიძის**
გარდაცვალების გამო.

---

გივი ნემსაძე, რუბენ ლიპარტელიანი, შერმადინ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გუგუ გენდელიანის ოჯახს
**თემურ გენიძის**
გარდაცვალების გამო.

---

სერგო გასვიანი, ბახვა კვენეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ნადიას**
გარდაცვალების გამო.

---

გულნარა ომანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზურაბ ახვლედიანის ოჯახს
**ნორას**
გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვახტანგ დარახველიძეს მამის
**პარმენ დარახველიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სახლაზღვევის ფირმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი გენდელიანს ბიძის
**თემურის**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ზურაბი, შვილები მზია, რევაზი, დები ნათელა, ლიანა, ძმა ვენედი, რძლები ლალი ჯანხოთელი, თინა გენდელიანი, მული ნათელა, სიძეები რამაზ კვირკაშვილი, გრიშა მეშველიანი, რეზო ქათამაძე, ნოე კოპალიანი, შვილიშვილები ნინო, ზურიკო, ირაკლი, თორნიკე დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნორა ინდიკოს ასული ჩაკვეტაძე—ახვლედიანი.**

---

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ, სერაპიონ მიშა, გოჩა ახვლედიანები, გელა მამარდაშვილი, იზო გოგოხიძე, ლეილა ფუტკარაძე, ზურაბ თუთისანი, ჟორა სილაგაძე, გივი ქოჩეჩაიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გუგუ გენდელიანის ოჯახს
**თემურ გენიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1976 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნაზი ლეთოდიანი თანაუგრძნობენ მზია ახვლედიანს დედის
**ნორა ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა